პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 144

2018წ. "07" 09

ქ. თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალ ტალღას" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	წყალმომარაგების სისტემები (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული	52	82	ქართული	35	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154

			კვალიფიკაცია წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციაში 040684					
2	მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 040688	59	74	ქართული	25	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
3	მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 040688	59	74	ქართული	25	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
4	მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 040689	77	92	ქართული	25	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
5	სატყეო საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში 010556	48	78	ქართული	30	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
კარლო კერვალიშვილი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი